ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 63

17 მარტი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2010 წლის 9 აგვისტოს №5-55-158 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ზ"ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.28.179 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შეიტანოს ცვლილება პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2010 წლის 9 აგვისტოს №5-55-158 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებაში, იმ პირობით, რომ:

ა) შპს „თბილისი პარკინგი" პროექტის განსახორციელებლად აიღებს ყველა საჭირო ნებართვას და თანხმობას შესაბამისი უწყებებიდან;

ბ) საერთო ფართის არანაკლებ 50% გამოყენებული იქნება ავტოსადგომის მოსაწყობად;

გ) შპს „თბილისი პარკინგის" მიერ ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით განხორციელდება არანაკლებ 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) შპს „თბილისი პარკინგის" მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებით გადახდილი იქნება 150 000 ლარი.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი